

**ჩვეულებრივი წაბლის (*Castanea sativa Mill.*) გავრცელება საქართველოში,  
საფრთხეები და პრობლემათა გადაჭრის შესაძლო გზები**

სალომე ნოზაძე



*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე  
ბუნებათსარგებლობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების  
მოთხოვნების შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები: ბუნებათსარგებლობა (MSC)

ხელმძღვანელი: ქეთევან ბაცაცაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2020

# სარჩევი

აბსტრაქტი	iii
შესავალი	iv
საკვლევი საკითხი	1
<i>კვლევის მიზანი</i>	2
<i>საკვლევი კითხვა/კითხვები</i>	3
ლიტერატურის მიმოხილვა	3
<i>წაბლის ბიო-ეკოლოგია</i>	3
<i>წაბლის ქერქის კიბოს სიმპტომები და ბიო-ეკოლოგია</i>	5
<i>წაბლის ქერქის კიბო მსოფლიოში და მის წინააღმდეგ ბრძოლა</i>	6
<i>წაბლის ქერქის კიბოს გამოჩენის ისტორია და კორომების დღევანდელი სანიტარული მდგომარეობა საქართველოში</i>	9
მეთოდოლოგია - ფიტოსანიტარიული შეფასება ველზე	11
შედეგები და დისკუსია	18
<i>სანიტარული მდგომარეობის კატეგორიები</i>	18
<i>გაცლილი ქერქი და ღრუ</i>	21
<i>დაზიანების ხნოვანება</i>	22
<i>გავრცელების კლასები</i>	25
<i>დეფოლიაცია</i>	27
<i>სანიტარული ჭრის ძირითადი პრინციპები</i>	29
დასკვნა და რეკომენდაციები	30
ბიბლიოგრაფია	34

## აბსტრაქტი

ტყის ჰაბიტატებს შორის ერთერთი ყველაზე პრობლემატური საკითხია წაბლის ხმობის გამომწვევი დაავადება, ეგრედწოდებული წაბლის კიბო (*Cryphonectria parasitica*). წაბლის კიბოს დაავადება გავრცელდა მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთ შტატებში და გაანადგურა ამერიკული წაბლი (*Castanea dentata*). მსგავსი შედეგი მოიტანა აღნიშნულმა დაავადებამ ევროპაშიც, ჩვეულებრივი წაბლის (*Castanea sativa*) შემთხვევაში. თუმცა, სრულიად მოულოდნელი დადებითი შედეგი გამოიტანა უნიკალური ბიოლოგიური კონტოლის ფენომენმა - ჰიპოვირულენტურობამ, რომელმაც გადაარჩინა წაბლის კორომები ევროპაში. დაავადებასთან ერთად, სოციო-ეკონომიკურმა მდგომარეობამ ქვეყანაში, გამოიწვია წაბლის მკვეთრი შემცირება.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანი იყო დაგვედგინა, რა მდგომარეობაა დღეს წაბლნარ კორომებში საქართველოში, შეგვეფასებინა სანიტარული მდგომარეობა ზესტაფონის წაბლის კორომში და მისი დაგვედგინა ტენდენცია არსებული კვლევების გამოყენებით. მიმოხილვის საგანია, აგრეთვე თუ როდის გავრცელდა დაავადება საქართველოში და როგორ უმკლავდებოდნენ მას.

ზესტაფონის წაბლის კორომებზე აღებულ მონაცემებზე დაყრდნობით დარუკდა წაბლნარის წერტილები, შეფასდა სანიტარული მდგომარეობა კვარტლების მიხედვით, რის შემდეგაც მე გამოვითვალე წაბლის კორომის საშუალო სანიტარული მდგომარეობა ველზე აღებული მონაცემების დახმარებით, მთელ ზესტაფონის წაბლნარებში.

## Abstract

One of the most problematic issues among forest habitats is chestnut disease, the so-called chestnut blight (*Cryphonectria parasitica*). Chestnut blight spread to the Eastern States of North America in the early twentieth century and destroyed American chestnut (*Castanea dentata*). Similar results have been reported in Europe as well, regarding the Chestnut blight. However, a completely unexpected positive result was the phenomenon of a unique biological control - hypovirulence, which saved chestnut stands in Europe. Along with the disease, the socio-economic situation in the country has led to a rapid decline of Chestnut.

The aim of this thesis is to assess the current state of Chestnut stands in Georgia, to evaluate the sanitary status of the stand in Zestaphoni and to identify trends in current research. The subject of the review is also where and when the disease spread in Georgia and how it was treated.

Based on the data recorded in Zestaphoni chestnut stand, the sanitary condition was assessed by quarters. Using this information, I calculated the average sanitary condition of Zestaphoni Chestnut stands.

## შესავალი

საქართველო ტყით მდიდარი ქვეყანაა. აქ ვხვდებით როგორც წიწვოვან ისე ფოთლოვან, მარადმწვანე და ფოთოლმცვენ მერქნიან სახეობებს. ჩვეულებრივი წაბლი (*Castanea sativa Mill.*) საქართველოში წარმოადგენს რელიქტურ სახეობას, რომელსაც უჭირავს საქართველოს ტყის დაახლოებით 3.8% (გიგაური, 2000). წაბლის ტყეები მნიშვნელოვან თავშესაფარს წარმოადგენენ ბიომრავალფეროვნების მრავალი